გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 168

2025 წლის 14 ნოემბერი
ქ. გორი

ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი №22-ის მიმდებარედ ამკრძალავი საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია წმინდაწყლის მე-2 უბნის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელის მოხსენებითი ბარათი, რომელთაც მოთხოვნილია ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი №22-ის მიმდებარედ სატვირთო ავტომობილების გაჩერების აკრძალვა და საგზაო ნიშნის 3.27 - ,,გაჩერება აკრძალულია" განთავსება დამატებით ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1 – „სატვირთო ავტომობილზე (მისაბმელით ან მის გარეშე), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტ-ზე მეტია". აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარ სამმართველოსთან ერთად და მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი №22-ის ის მიმდებარედ განთავსდეს სატვირთო ავტომობილების გაჩერების ამკრძალავი ნიშანი 3.27 - ,,გაჩერება აკრძალულია" დამატებით ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1 – „სატვირთო ავტომობილზე (მისაბმელით ან მის გარეშე), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტ-ზე მეტია".

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი №22-ის ის მიმდებარედ განთავსდეს სატვირთო ავტომობილების გაჩერების ამკრძალავი ნიშანი 3.27 - ,,გაჩერება აკრძალულია" დამატებით ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1 – „სატვირთო ავტომობილზე (მისაბმელით ან მის გარეშე), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტ-ზე მეტია".

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. ქ. გორში, ცხინვალის გზატკეცილი №22-ის ის მიმდებარედ განთავსდეს ამკრძალავი საგზაო ნიშანი 3.27 - ,,გაჩერება აკრძალულია" დამატებით ინფორმაციის ნიშნით (დაფა) 8.4.1 – „სატვირთო ავტომობილზე (მისაბმელით ან მის გარეშე), რომლის ნებადართული მაქსიმალური მასა 3,5 ტ-ზე მეტია".
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე მარლენ ნადირაძე